

საქართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ლ ე ლ ო

Organ Komiteta po Fizicheskoj kul'ture i sportu pri Sovete Ministrov Gruzinской ССР и Gruzinского республиканского совета профсоюзов

№ 24 (1104) სამშაბათი, 25 თებერვალი, 1958 წ. გამოცემის მე-14 წელი. ფასი 80 კაპ.

1921 წლის 25 თებერვალი დიდი გარდატეხის ისტორიული ნიშანს წარმოადგენს. ეს არის თავისუფლებისათვის, ბედნიერი მომავლისათვის მშრომელი ქართველი ხალხის დაუღებელი სწრაფვის, მეფის რუსეთის თვითმპყრობელობისა და მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ მისი შეუპოვარი ბრძოლის ძველმოხილი დაგვირგვინების თარიღი, როცა გმირულმა მუშათა კლასმა რევოლუციური გლეხობასთან კავშირში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძველებული ხალხის, სახელგანთქცილი არმიის დახმარებით საბოლოოდ გადაიგდო მონობის უღელი, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

ეს იყო ჩვენს სამშობლოში ახალი ისტორიული ერას დადგენის საძირკველი, მისი მეურნეობის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის მომავალ სწორუპოვარ გამარჯვებათა დასაბამი.

3. პორისენკო — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

საინტერესოა წარმართა ბრძოლა კ. ზეიტონისა-ვ. ბორისენკოს ორთაბრძოლის III პარტიაში. იგი ორ დღეს გაგრძელდა: 22 თებერვალს მიაღმათავრებინა ვ. ბორისენკომ კარგად გამოიყენა უპირატესობა და 72-ე სეზაზე გაიმარჯვა. ამით ორთაბრძოლის ანგარიში გახდა 2,5:0,5-ზე ვ. ბორისენკოს სასარგებლოდ. იმის გამო, რომ მატჩში უნდა გათამაშებულიყო მხოლოდ ოთხი პარტია და კ. ზეიტონის უკვე დაკარგული იქნა ორი პარტია, ვ. ბორისენკო გამოცხადდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონად. მას გადაეცა ჩემპიონის ოქროს მედალი.

საერთაშორისო ოსტატი ვ. ბორისენკო (38 წლისა) მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკელად აღიარებული. იგი ორჯერ (1945 და 1955 წწ.) იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო მსოფლიოს პირველობაზე 1950 წელს მან ე ბიკოვსთან III-IV ადგილები გაიყო. ვ. ბორისენკო ლენინგრადის შეიღებია ჩემპიონია. ნიჟერ ოსტატს არაერთხელ უთამაშია წარმატებით ვაჟთა ტურნირებში.

22 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა მკაცრის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სახეიმა სხდომა აზიის და დღობის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-40 წლისთავისადმი.

შეკრებილი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ბ. არსტოვის, ლ. ი. ბრევერის, ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. გოროშოლოვის, ნ. გ. ივანოვის, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვის, ო. ვ. კულსინენის, ა. ი. მიქოიანის, ნ. ა. მუხიტლინის, მ. ა. სულაშვილის, ე. ა. ფურცევის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შევრნიის, ა. ნ. კოსიგინის, მ. გ. პერევეზინის გამოჩენას. პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, სსრ კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, ვ. დ. სოკოლოვიჩი, ა. ა. გრეჩკო, ს. ს. ბირიუზოვი, ი. ხ.



მას აქვთ 37 წელი გავიდა — მხოლოდ 37 წელი. მაგრამ რა გრანდიოზული, ჰემარტიკად საარაკო გარდაქმნები მოხდა ამ მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში! ძველი, აგრარული, ჩამორჩენილი მრეწველობის მქონე საქართველო, მეფის რუსეთის მივარდნილი პროვინცია, დღეს მოწინავე, მძლავრი მრეწველობისა და მაღალი ტექნიკით აღჭურვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად ჩამოყალიბდა.

37 წლის დიად გზაზე საბჭოთა საქართველო თანამიმდევრულად აღიჭურვა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შექმნილი საწარმოებით, ელექტროსადგურებით, შახტებით, მძლავრად განვითარდა სოციალისტური მეურნეობა. ყოველივე მან განაპირობა რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუზრელი ზრდაც.

დღეს საბჭოთა საქართველოს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, განათლების მაღალი დონე, ახალი თაობის გონებრივი და ფიზიკური აღზრდის შესანიშნავი ორგანიზაცია მთელს მსოფლიოშია სახელგანთქმული. და ისევე, როგორც აშუამად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნით, სოფელ შრომის მილიონერი კოლმეურნეობით, ნიკო მუსხელიშვილის, გიორგი მელიქიშვილის, ივანე ბერიტაშვილისა და სხვათა შესანიშნავი მეცნიერული შრომებით, ვალკატონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო გუდიაშვილისა და სხვათა მაღალმატრული ნაწარმოებებით, ბრწყინვალე საბალეტო სექტაქლით — „ოტელიო“, ი. ხუნიშვილისა და ნ. რამიშვილის ანსამბლით, „შვიდეკაცი“, ასევე თამა-

შად შეიძლება ვიამაყოთ საქართველოში აღზრდილი სპორტსმენების — ვ. კარტოზიას, ვ. ბალაგაძის, რ. ჩიმიშვიანის, ო. ქორქიას, ჯ. მემარიაშვილის, ვ. სხირტაძის, ბ. გურგენიძის, რ. ცირეკიძის, ნ. დვალისვილისა და მრავალ სხვათა შესანიშნავი მიღწევებით.

დახს! სპორტმა ჯერარანხულ განვითარებასა და აყვავებას მიაღწია ჩვენს რესპუბლიკაში ამ 37 წლის მანძილზე და მისი მასობრიობის, მოწინავე ორგანიზაციის, უაღრესად დემოკრატიული ბუნების შედეგია სწორედ ასეთი წარმატებანი, საერთაშორისო მასშტაბით ცნობილ სპორტსმენთა ასეთი სიმრავლე. ხოლო ყველა ამ მიღწევების საფუძველთა საფუძველი როგორც მეურნეობაში, ისევე კულტურასა და სპორტში, არის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის

უანგარო, შეუწინებელი ზრუნვა მათი განვითარებისათვის, ის დიდი სოციალ-სახელმწიფოებრივი მონაპოვარი, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალმა გამოსქედა საქართველოში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების კიდევ მრავალ წლისთავს ეზეიმებს ქართველი ერი. და ყოველი ეს ზეიმი იქნება ასეთივე ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებების ნუსხა, რომელთაც ჩვენი ხალხი მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად მოიპოვებენ კომუნიზმისაკენ მიმავალ დიად გზაზე, და ყოველ ამ წლისთავზე, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა უბნებზე, ქართული სპორტი კვლავაც მიადგვებს ახალ წარმატებებს, პროგრესს, ბრწყინვალე სპორტსმენთა ახალ-ახალ სახელებს ჩასწერს ეროვნული სპორტის ისტორიაში, განუზრდალად გაიზრდება და გაიფურჩქნება ფიზკულტურა და სპორტი — საქართველოს ახალგაზრდობის ეს საყვარელი საქმიანობა.

ყინვის მიუხედავად

ამ დღეებში მდინარე მოსკოვზე გაიმართა მასობრივი შეჯიბრება ცურვაში, რომელშიც მონაწილეობდა და სხვადასხვა ასაკის 60 სპორტსმენი. გემ „ინაპას“ ბორტიდან სტარტი აიღეს ლენინგრადისა და მოსკოვის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის იყო 16 წლის მოსკოველი მოსწავლე ი. ბუზაძე-ლინი, პენსიონერი პ. შატალოვი, მე-9 კლასელი გოგონა ნ. სინელიკოვა და სხვ. ლიუხედავად იმისა, რომ წყლის ტემპერატურა 0 გრადუსს, ხოლო პაერისა — 1 გრადუსს უდრიდა; ყველა მონაწილემ დაამთავრა 250-მეტრიანი დისტანცია.

დასასრულ, ცნობილმა მოსკოველმა წყალში მყვინთავმა ო. კუმუკოვმა მათურებლებს აჩვენა წყალში ყვინთვის ტექნიკა.




სურათზე: შეჯიბრების ტრასაზე საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მოტოციკლისტი ო. ხარაძე (რუსთავი). შეჯიბრების ანგარიში იან. მე-3 გვ.


ზიიმი სპორტის სასახლეში

ბაგრაშინი, ს. მ. ბუდიონი, კ. ა. მერცკოვი და სხვები. საზეიმო სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვმა. საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ წინადადება შეიტანა საპატიო პრეზიდიუმში აერთიანებული კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა. ამ წინადადებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ ნ. ი. ბობროვნიკოვმა მოხსენებისათვის — საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-40 წლისთავი — სიტყვა მისცა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს მარშალ რ. ი. მალინოვსკის. სხდომის მონაწილეები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელმაც წაიკითხა საბჭოთა

კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიმართ მემორიალად.

დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით მისალმებით გამოვიდა კავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. პ. პავლოვი.





გ. სინარულია,

ფიქსურებისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს ფიზიკური კულტურა და სპორტი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრებაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არნახულ ზრუნვას იჩენენ კომუნისტების მშენებელთა ფიზიკურად ძლიერი, ჯანლიანი და მათთვის ადრევე დასრულებული პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე. იგი ვლინდება ფიქსურებისა და სპორტის სახელმწიფო ასიგნებათა მუდმივ ზრდაში: სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში, სასწავლო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნაში.

1957 წელი ღირსსსაგვარი თარიღი იყო საბჭოთა ხალხის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში და მამასადამე ფიქსურებისა და სპორტის. გასულ წელს სხვადასხვა სახის რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მილიონზე მეტმა ფიქსურებელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა 50-ზე მეტი ახალი ფიქსურული კოლექტივი, ხოლო რესპუბლიკაში ფიქსურულ-ტურულთა საერთო რიცხვმა 416 ათასს მიაღწია. ამასთან სპორტის ოსტატთა, თანროგისა და ნიშნის სპორტსმენთა მომზადების გეგმები ხარისხიანად და გადაჭარბებით შესრულდა.

გასულ 1957 წელს საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპორტკაიდაზე პირველი ადგილი დაიკავა. ამვე სპორტულ სეზონში საქართველო მოვიდა დედა ნაკრები გუნდი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ბრწყინვალე შედეგებით აღნიშნეს სეზონი ალპინისტებიც. მათ განახორციელეს დარვაზის ქედის ტრავერსი და დამსახურეს ოქროს მედალები. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ნორი სპორტსმენები მეთაურ საკავშირო სპორტკაიდაზე. ტრამპი-ტროლინების სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი გახდა ფიქსურულ-ტურის კოლექტივების საკავშირო თასის მფლობელი.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა გასულ სეზონში დაამყარეს 304 რესპუბლიკური რეკორდი, მათ შორის 14 საკავშირო, 7 ევროპისა და 2 მსოფლიოს. სულ ჩვენი სპორტსმენების მიერ გასულ სეზონში მოპოვებულ იქნა 31 ოქროსი, 9 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი. მსოფლიო, ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში ვ. ბალაძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს მოჭიდავეებმა: რ. აბაშიძემ, ვ. ბალაძემ, გ. სხირტაძემ, ზ. შევდლიშვილმა, გ. არსენიანმა, მოცულობებმა: ბ. ნიკიტინმა, რ. არკადიევამ, მოფარიაკემ რ. ციციქოვამ, მსოფლიოებმა: დ. ცაგარეიშვილმა და ბ. ანტონოვიმ. სპორტის სხვადასხვა სახეობაში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის ჩვენი რესპუბლიკის 32 სპორტსმენი და მწვრთნელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედალებით, ხოლო სპორტსმენთა, მწვრთნელთა და საზოგადოებრივ მუშაკთა დიდი ჯგუფი — საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

მარამ ეს წარმატებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ფიქსურების კომიტეტებს, სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებს უფრო ქმედითად ეზრუნათ სპორტის მასობრიობაზე, ჩაეტარებიათ შეჯიბრებები მაღალ დონეზე და მეტი ყურადღება მიექციათ სპორტსმენთა სრულყოფილი წვრთნისათვის. განა სამარცხენო არ არის, რომ საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე გასულ წელს მე-13 ადგილი დაიკავა, 50 მძლეოსნიდან, რომელიც გამოდიოდა ამ შეჯიბრებაში, მხოლოდ 13-მა შესრულა პირველი თანრიგის ნორმატივი და მისცა გუნდს ჩასათვლელი ქულები. სპორტის ამ სახეობაში არ არის შესრულებული არც სპორტის ოსტატთა და არც პირველთანრიგისათა მომზადების გეგ-

მები. აქვე არადაკმაყოფილებლად გამოდიოდნენ საკავშირო შეჯიბრებებში ჩვენი ტანმოვარევიშეები, ფრენბურთელები, მოკრივეები, ტყვიით მსროლელები, წყალში მტობელები და „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმატება ფიქსურულ მოძრაობაში პირდაპირ კავშირშია მის მასობრიობასთან და რომ ამ საქმეში ბევრის გაკეთება შეუძლიათ ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სკოლების ძირითად ფიქსურულ კოლექტივებს. სამწუხაროდ, ეს ქვეპირობები ყველას ვერ შეუძნა. ჯერ კიდევ ბევრია ფიქსურულთა რაიონული კომიტეტი, უწყებები და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებთა რესპუბლიკური საბჭოები, რომლებიც არ უწყვეტ სერიოზულ დახმარებას ძირითად კოლექტივებს, ასე მაგალითად, ქალაქში სოხუმში, სტალინის რში, გორში, რუსთაველში და სამტრედიის, წყნეთის, მარნეულის, სანხერის, თერჯოლის, აბაშისა და ბეგრის რაიონში ახალგაზრდობის მთლიან 40 პროცენტია ჩამოყალიბებული ფიქსურებისა და სპორტის. რესპუბლიკის 400 ათას ფიქსურულ-ტურულიდან მხოლოდ 113000-ითგან პირდაპირი სპორტსაზოგადოებების წევრად. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მცირეა ისეთი სპორტული რესპუბლიკათვის როგორც საქართველო.

მთელ რიგ ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებში, ისეთ წამყვანებშიც კი, როგორც არის რუსთაველის მეტალურგიული, ზეკაფონის ფეროშენილობის ქარხნები, გორის ბამბულის კომბინატი, აგარის შაქრის ქარხანა და სხვა, მასობრივი ფიქსურული მუშაობა უაღრესად არადაკმაყოფილებლად დონეზეა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიონებისა და ქალაქების ფიქსურულ-ტურულ ორგანიზაციებს ჯერჯერობით დახმარება არ უწყვეტ ფიქსურებისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი, სპორტსაზოგადოებები და უწყებები. განა საქართველო არ არის, რომ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპორტკაიდაზე საქართველოს 350 კაცთან დელეგაციაში აქარა წარმოდგენილი იყო მხოლოდ 23 სპორტსმენი, აფხაზეთი — 18, ქუთაისი — 7, ფოთი — 6 და სამხრეთ ოსეთის ერთი წარმომადგენელი. დანარჩენი რაიონებისა და ქალაქების წარმომადგენლები სრულებით არ ფიქსურებდნენ დელეგაციის წევრთა შემადგენლობაში. გამოჩალის შეადგენდა მხოლოდ მცხეთის რაიონი, რომელმაც 15 ნიშნისანი მისცა ჩვენს გუნდს.

რესპუბლიკაში ფიქსურულთა და სპორტის წარმატების მნიშვნელოვანდ განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლებლებში გაშლილი საქმიანობა. მაგრამ ამ უბანზე ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი საქმიად მუშაობს არის წარმოდგენილი ნაკრებ გუნდებში. ასე მაგალითად, პედაგოგიური ინსტიტუტიდან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტკაიდაზე საქართველოს ნაკრებში მხოლოდ 4 კაცი იმსახურებდა, რეინგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდიდან — 3, სამედიცინო ინსტიტუტის გუნდიდან — 1, და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოწვევითა საკავშირო სპორტკაიდაზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ მესამე ადგილი დაიკავა. ეს უდაოდ კარგი მაჩვენებელია და ჩვენ ყველა ძალები უნდა ვისმართოთ, რათა იგი შევიწარმოთ. სამწუხაროდ, მთელი რიგი კოლების დირექტორები ასე როდი ფიქრობენ. ბევრ სკოლას სრულებით არ გაჩნია მარტივი ტიპის მოედანი. არ არიან უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით. ქალაქ თბილისის სტალინ-

ის სახელობის რაიონის 28-ე და 101-ე სკოლებში, ბათუმის მე-2, მე-5, და მე-11 სკოლებში, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლაში და ბეგრ კიდევ სხვაგან გასულ წელს არ იყო მომზადებული მშენს არც ერთი ნიშნისანი, რომ არაფერი ვთქვათ თანრიგის სპორტსმენებზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტში წარმატება ძირითადად დამოკიდებულია კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობების არსებობაზე და ამ ბაზებზე სწორად დაყენებულ სასწავლო საწვრთნელ მუშაობაზე. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზებმა ბევრი გააკეთეს ახალი ბაზების მშენებლობისა და არსებულის კეთილმოწყობის საქმეში. შედარებით ხანმოკლე პერიოდში რესპუბლიკა შეიქმნა კალათბურთის 140, ფრენბურთის 172 მოედანი და ფეხბურთის 100-ზე მეტი მიწიერი. გასულ წელს საქსპორტკაიდად გადაეცა კალათბურთისა და ფეხბურთის სტადიონი ქუთაისში. ახალი, შესანიშნავი ტანვარჯიშული დარბაზები შეიქმნა თბილისის რეინგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზებზე. ფიქსურების ინსტიტუტისა და „ბურევესტნიკის“ სტადიონის ტერიტორიაზე აშენდა ჩოგბურთის 12 კორტი. სტალინის სახელობის სანაპიროზე მთავრდება ტანვარჯიშული დარბაზის მშენებლობა, ხოლო ორთაქალაქი საზღვრულ აუზისა. უკვე დამთავრდა და სპორტსმენებს საქსპორტკაიდად გადაეცათ საზღვრულ საცურაო აუზი რუსთაველსა და თელავში. აშენდა საწყლისა ადგიური დუშეთში, ბახალის ტბაზე. მიუხედავად ყველა ზემოაღნიშნულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში არ სრულდება სპორტული ნაგებობების მშენებლობის გეგმები. ზამთრის საცურაო აუზის მშენებლობა თბილისში, საზღვრულ საცურაო აუზის მშენებლობა გორში, სტალინის რში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ბორჯომში, ხოლო კასპის, საგარეჯოს, გარეუბნის რაიონებში საჭიდაო დარბაზების მშენებლობა მეტად ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმაკომმა გააკანურა ზაფხულის საცურაო აუზში წყლის გასათბობი აპარატების დადგმა, რის გამოც ჩვენი რესპუბლიკის ფიქსურულ-ტურულ ორგანიზაციები იძულებულნი არიან გუნდები საწყლის სახეობებში, განაკეთებთ კი წყალში ტობისა და წყალბურთში, მთაწმინდის მეზობელ რესპუბლიკებში.

ქალაქ თბილისისა და ქუთაისის ფიქსურებისა და სპორტის კომიტეტები, აგრეთვე „განთაიდა“, „ლიტოპოლიტის“, „სპარტაკის“, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოები, საქალაქო შეჯიბრებებში იზიდავენ საფარბიო საქარხნო და უმაღლესი სასწავლებლების ფიქსურების კოლექტივების მცირე ჯგუფებს, საშუალო და წვრილ საწარმოებში, სკოლებისა და საშუალო სასწავლებლების ფიქსურული კოლექტივების დიდი უმრავლესობა როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში კვლავინდებურად არაეფექტურად მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ქალაქის ქიათურის, გორის, რუსთაველის, ზუგდიდის და ზესტაფონის, კასპის, ცილნის რაიონების სპორტულ საზოგადოებებში („კოლმეურნე“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“) არ ადასვენენ ფიქსურულ-ტურული აქტივის როლს სპორტულ შეჯიბრებათა სისტემის გარდაქმნაში და არ იღებენ არაერთი ზომის საზოგადოებრივი ინტერეტების და მსაჯების მომზადების საქმის გასაუმჯობესებლად. ბევრ ფიქსურულ-ტურულ ორგანიზაციაში ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყოველ სპორტსმენ-თანრიგისან ჰქონდეს მსაჯის წოდება.

წელს საქართველოს სპორტსმენებს მოუხდებოდა ბევრ რესპუბლიკურ საკავშირო და საერთაშორისო

შეჯიბრებაში მონაწილეობა. მათ შორის საგულბისხმოა სტუდენტთა ზაფხულის საკავშირო თამაშები, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიდა, პროფკავშირების საზაფხულო სპარტაკიდა, „დინამოს“, „სპარტაკის“, სოფლის სპორტსმენთა და „შრომითი რეზერვების“ საკავშირო სპარტაკიადები. თბილისში ეწყობა საკავშირო პირველობები აკრობატკაში, კრიკში, მძლეოსნობაში, მოტოსპორტში, წყალში ტობაში, ჩოგბურთში. 1958 წლის სპორტული სეზონის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება თბილისში ორი საინტერესო ღონისძიების — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის (რომელშიც 4000 ნორჩი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას) და აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და საქართველოს სტუდენტთა ზონალური თამაშების ჩატარება. ამით, რა თქმა უნდა, არ ამოწურება ია სპორტული ღონისძიებები, რასაც იხილავს თბილისის მაცურებელი. ინტერესმოკლებული არ იქნება აღნიშნულთ, რომ საქართველოს კალათბურთელთა შეხვედრები უნგრულ სპორტსმენებს; მოჭიდავეები ფიხლებსა და თურქებს, წყალბურთელები გერმანელებსა და ბულგარელებს, მძლეოსნები და მოცურავეები ბულგარელებს და ა. შ. დიდ ინტერესს გამოიწვევს, აგრეთვე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის შეხვედრები უცხოეთის კოლექტივებთან. წინასწარი ცნობებით იგნისა და იგლისა თბილისის ექვეყნის უნგრეთის, თურქეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, პოლონეთისა და იტალიის გუნდები.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებები და შეჯიბრებები ავალბებ ფიქსურულ-ტურულ ორგანიზაციებს, საზოგადოებებსა და უწყებებს, სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს უკეთ დააყენონ სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ პოლიტმზრუნველობითი მუშაობა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების უახლოესი ამოცანაა წარმატებით გამოვიდნენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიდაზე, სტუდენტთა ზონალურ თამაშებში, საზოგადოებების და უწყებების სპარტაკიადებში, საკავშირო შეჯიბრებებში და, რაც მთავარია, ღირსეულად დაიცვან საბჭოთა სპორტის სახელი საერთაშორისო შეხვედრებში. 1959 წელს საქართველო სპორტსმენებს მოუხდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიდაში მონაწილეობა, რომლის პროგრამა გასულ სპარტაკიადებთან შედარებით კიდევ უფრო გაზრდილია. მომავალი სპარტაკიადის პროგრამაში დამატებულია შეჯიბრებები ველოტრეკზე, მოტოსპორტში, აკადემიურ ნიშნისნობასა და ქალაქში.

ფიქსურულ-ტურული ორგანიზაციებისა და სპორტსმენების წინაშე სასასუხისმგებლო ამოცანა დგას, — შევიწარმოთ ის კარგი ტრადიციები, რითაც სახელგანთქმული იყო ჩვენი რესპუბლიკა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და ფიქსურულ-ტურების მრავალათასიანი არმიის ქმედითი საქმიანობით, სპორტა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რათა ახალ საფეხურზე ავიდნენ ფიქსურულ-ტურულ-სპორტული მუშაობა საქართველოში.

პარიზი. („იუმანიტე“). საფრანგეთის მუშათა სპორტული ორგანიზაციები ემზადებიან თავიანთი არსებობის 50 წლისთავის აღსანიშნავად. დღესასწაულს გასტანს აოდღეს — 16-დან 25 მაისამდე. ამ დღეებში საფრანგეთის დელაქალაქში ჩატარდება მრავალი საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

დღესასწაულის გახსნის დღეს სპორტის სახალღში პარიზელთა წინაშე პირველად გამოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც შეხვედრა საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს ფრენბურთელთა ტურნირი დაიწყება ამხანაგური მატჩით რუმინეთისა და საფრანგეთის გუნდებს შორის.

პარიზის საუკეთესო ტანვარჯიშულ დარბაზებში თავიანთ ოსტატობას იჩვენებენ გერმანიის, ბელგიის, იტალიის, პოლონეთის, სპარტაკის, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი ოსტატები. გათამაშებულ იქნება აგრეთვე ვაშთ „იუმანიტეს“ დიდი პარიზი ველოსპორტში.

საფეხბურთო მინდვრებზე ჩატარდება მატჩ-ტურნირი ბელგიის, იტალიის, შვეიცარიისა და საფრანგეთის მუშათა გუნდებს შორის. მათ გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთისა და პოლონეთის ოსტატთა გუნდები.


მუშათა სპორტული დღესასწაულის დღეებში მოეწყობა საერთაშორისო შეჯიბრებები ხელბურთში, ქიადობაში, რეგბში, ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ნახევარფინალი

სტალინის კულტურის სახლი 8 თებერვლიდან მიმდინარეობს საქართველოს 1958 წლის საქალაქო პირველობის ნახევარფინალი. ფინალში (ამ ტურნირიდან დიშეება მხოლოდ სამი მოჭიდავე) გასასვლელად იბრძვის 13 სპორტსმენი. მათ შორის არიან ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი), პირველთანრიგისნენი აქარის ჩემპიონი გ. ქანტურია ქუთაისის ჩემპიონი ა. გავუა, იკრავცივი (ბორჯომი), ჯ. ბერაძე (წყალტუბო), ო. გასიცივი (სტალინი), თ. ბელთაძე (დუშეთი) და სხვები.

შეჯიბრებაში უკვე გათამაშებულია ხუთი ტურა. კარგად თამაშობს ა. ბრეიტმანი, რომელსაც 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. თელაველმა ა. გურასამა შეიღმა მოიგო ორი პარტია და სამი ყაიბით დაამთავრა. ა. გავუამ 2,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

ბრძოლა გრძელდება...
ს. გუგუნვა,
ტურნირის მთავარი მსაჯი.



სახელისწერო ცეკვა... მისი შედეგი.

ეს ღონისძიებები მიმდინარეობს საბჭოთა არმიის მე-40 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავს.

აღვილიდან და მკვებელ სკანლზე

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-ზღვაო ფლოტის 40 წლისთავს მიძღვნილი თბილისელ მესტერდურეთა ეკვიპირება, რომელშიც 24 სპორტმენი მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, აკრობატის სპორტის ოსტატმა ბ. მტონიამ ადგილიდან სროლის როს პირველ სერიას 25-დან დაიწყო 25 სამიზნე. ერთი ამიზნით ნაკლები შედეგი აჩვენა „მონაწილის“ სპორტსმენმა ვ. ჯაბახიძემ ორ სამიზნეს დააცილა პირველანრივოსანმა შ. ცაგარეიშვილმა.

მრგვალ სტენდზე სროლაში გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ბ. ანტონოვი და პ. სარქისოვი. გამარჯვებული გამოვიდა პ. სარქისოვი, რომელმაც 50 სამიზნედან დაიგატეხა 49. ანტონოვის შედეგია — 47 სამიზნე.

გ. მოწონელიძე

არმიის, ავიაციისა და ფლოტის მსხვილწიგნები ნებაყოფლობითი საზღვაოების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ გასულ კვირას მოაწყო მოტოციკლისტთა თბილისის უძლიერეს მოტოციკლისტთა მონაწილეობით. შეჯიბრების მთელი ტრასაზე (იგი დაახლოებით 1200 მეტრს ფარავს) ცოცხალ კორიდორად ჩამოყვანილი მსურველები, შეუწყვეტილი ინტერესით ადევნებდნენ უფლებურ ხარისის მსვლელობას.

ბრძოლა ტრადიციულად ყველაზე უფრო მანქანებმა — 125 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებმა დაიწყეს. შეჯიბრებას თავში მოექცა ორი ბურჟუაზიული — ცალქალაშიძე და კულუმბეგაშვილი, რომლებსაც მცირე განსხვავებით უკან აედევნენ გალუსტოვი (დონაადი) და ხუბულაშვილი („ბურჟუაზიული“). მოტოციკლისტებმა ასეთი თანმიმდევრობით გაიარეს რამდენიმე წრე. განსხვავება პირველსა და მეორეს სპორტმენს შორის ორ წამზე ნაკლები იყო. მაგრამ, რაც უფრო ახარტში შედიოდნენ სპორტსმენები, მით უფრო სწრაფი ხდებოდა, რომ დისტანციის მსვლელებზე სახიფათო უბანი — ოცმეტრიანი მონაკვეთი, სადაც ტრასას მარჯვნივ ლიანდაგები ჰქვითენ — თავს იზიდავდა და რომ იგი გარკვეულ სიჩქარეზე შეიტანდა სპორტსმენი მომარტობაში. რატომ? სულ უბრალო მიზეზის გამო. დიდ სისწრაფეზე დატყვევებული რეალურ საფრთხეზე

ქმნიდა, ლიდერები კი სისწრაფის დაკლებას არ ფიქრობდნენ. და აი მოხდა პირველი „ავარია“. კულუმბეგაშვილი, რომელიც ამ დროისათვის წინ იყო, დაეცა და მანქანის ნაწილები დაუზიანდა. პირველ ადგილზე ცალქალაშიძემ გადაინაცვლა, მაგრამ სულ ცოტა ხნით. ზუსტად იმავე ადგილზე ცალქალაშიძის თავისი წინამორბედი ბედი ეწვია. ლიდერობა გალუსტოვის ხელში გადავიდა. ახალგაზრდა ხუბულაშვილი კი მეორე ადგილზე აღმოჩნდა.


ავარიის მიუხედავად ცალქალაშიძემ ენერგიულად ჩაება რბოლაში და ლიდერთან დაკარგულ 17 წამს 8 წამი დააკლო. მეტის ვაჟი თება მან ვერ შეძლო, რადგან ფინიში უკვე მოახლოებული იყო. გალუსტოვმა, რომელმაც მთელი ტრასა თანაბრად გაიარა, დიკავა პირველი ადგილი და 30 წრის გავლას მოაწინააღმდეგა 33.45. ხუბულაშვილი დროსა მეორე ადგილზე, ხოლო ცალქალაშიძე — მესამეზე.

შემდეგ სტარტი მიეცა უფრო მძლავრ მანქანებს — 350 და 750 კბ. სმ კლასის მოტოციკლებს. აქ პირველობისათვის იბრძოდნენ ცნობილი მოტოციკლისტები თ. ჩხაიძე, თ. შალიბაშვილი (სამუხომლოდ სპორტსმენი კუბატურა) და თ. ხარაძე (750 კბ. სმ კლასი). სპორტსმენებმა სტარტი აიღეს ახალი წესის მიხედვით — მანქანები ამოშვავს თვითონ, დამმარტების გარეშე. ეს კი ერთგვარ უპირატესობას აძლევდა უფრო მსუბუქ მანქანებს, რომლებმაც სტარტის მიცემისთანავე დაიწყეს რიტმული კავანი. შალიბაშვილი („დინამო“) და ჩხაიძე (დონაადი) უკვე კარგა შორს

22 თებერვალს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში მოეწყო ტანვარჯიშული საღამო უნივერსიტეტის 1958 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლიანობად. ღონისძიება მიძღვნილია საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-40 და საქართველოს გასაბჭოების 37-ე წლისთავს. უძლიერესი სახელისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სპორტის ოსტატები ლ. გელოუკაშვილი, ვ. კლიმოვა, ი. მებუქი, ა. ნარიშკინი, ო. ქორჭია, ზ. გვეტაძე, პირველანრივოსანები ნ. ხალაძე, ნ. ხერხეულიძე და სხვ.

მხატვრულ ტანვარჯიშში ქალთა შორის მაღალი ოსტატობა გამოავლინა პირველანრივოსანმა ნ. ხალაძემ, რომელიც დიდი გემოვნებით, სიზუსტით ასრულებდა ვარჯიშებს ბურთით, სახტუნელო თოკით. განსაკუთრებით მოწონება დამსახურდა მისმა აკრობატულმა ვარჯიშმა. კარგად გამოვიდნენ ნარიშკინის ორქედზე ლ. გელოუკაშვილი, ნ. კასრელიშვილი.

რ
ბ
ო
რ
ა



ჩქარობდა. მე-9 წრეზე ხარაძე შალიბაშვილს მხოლოდ რამდენიმე მეტრით ჩამორჩებოდა, ხოლო კიდევ ორი წრის შემდეგ რუსთაველს წარმომადგენელი უკვე მეორე ადგილზე გადავიდა. ამის შემდეგ დაიწყო მეტად საინტერესო დუელი ამ ორ უძლიერეს მოტოციკლისტს შორის.

15 წრის შემდეგ მოსახვევში პირველად ხარაძე გამოჩნდა, რომელმაც დიდი სისწრაფით გაიარა სახიფათო ადგილი და თვალს მიეფარა. ახლა უკვე ჩხაიძემ აირჩია „თვალში ჩაჯდომის“ ტაქტიკა და რამდენიმე წრე ხარაძის უკან იარა. მეოცე წრეზე დისტანციიდან ჩამოვიდა შალიბაშვილი. როგორც ჩანს, ჩხაიძემ გადაწყვიტა წინ გასვლა და ბოლომდე რბოლის ლიდერობა. ამიტომ მეოცე წრეზე მოუმატა სისწრაფეს და დაწინაურდა, მაგრამ ხარაძემ მას არ მისცა დიდხანს ლიდერობის საშუალება, ისევ აკრიფა მანძილი და გაასწრო დაწინაურებულს. ასე იარეს მოტოციკლისტებმა კიდევ რამდენიმე წრე.

ოცდამეხუთე წრეზე, მოსახვევთან ორივე მოტოციკლისტი ერთად მიიქრა, შეიძლება სპორტსმენები ერთმანეთს დაჯახებოდნენ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ხარაძემ დაუთმო გზა ჩხაიძეს, რომელიც გაეარა წინ. ხარაძე კი დაეცა, დაჰკარგა ძვირფასე წამები. როდესაც იგი კვლავ დაუბრუნდა რბოლას, ჩხაიძე უკვე საქმოდ წინ იყო წაუღლი.

ბოლო დამთავრდა. 350 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებში პირველი ადგილი დაიკავებდა დონაადი ჩხაიძემ, რომელმაც 30 წრის გავლას მოაწინააღმდეგა 29.40.2. მეორე ადგილი წილად ხვდა მის თანაგუნდელს ი. გლადკასკოს. 750 კბ. სმ კლასის მოტოციკლებში პირველი ადგილი დაიკავა ხარაძემ — 30.00.5. მეორე ადგილზე გამოვიდა დონაადი ბ. სუხიშვილი.

გ. ნადირაძე

სურათზე: თ. შალიბაშვილისა (მარჯვნივ) და თ. ჩხაიძის ბრძოლა დისტანციაზე. ქვევით — დონაადი ვ. კლიმოვიც მხოლოდ მარცხით დაიწყო. ფოტო მ. ზარგარიანისა

მსოფლიო რეკორდი

დონის როსტოვში გაიმართა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება. ძალისხმევით შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ნალჩიკელი სპორტსმენი გლობუანიძე (მსუბუქი წონა), რომელმაც ორი წელით აქიმა 128 კილოგრამიანი შტანგა.

ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია მსუბუქი წონის ძალოსანთათვის.

ოქტის პირველობაზე

24 სპორტსმენი იბრძოდა ჩემპიონობისათვის მაგიდის ჩოგბურთში, რომელზეც ოთხ დღეს გრძელდებოდა ანეირაკავასიის სამხედრო ოლქის სახელმწიფო პარკში. თბილისის სამხედრო ოლქის ჩემპიონობა მოაპოვა მ. მხაცავანიძემ, მეორე ადგილზე გამოვიდა ბ. ბუბალოვი. გასული წლის ჩემპიონი გ. კარჩინიძე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

გ. ფაშილიანი, ი. კანდარიანი



ვაჟებში ძლიერად შესარულეს ვარჯიშები ა. ნარიშკინმა ღერძე, ზ. გვეტაძემ — რგოლებზე.

როცა ტანვარჯიშითა გამოსვლები დამთავრდა უძლიერესი სახელის მინიჭებაში მონაწილეობა მიიღეს მსურველებმა, რომელთაც ხელთ ჰქონდათ შეჯიბრებაში გამოსულ სპორტსმენთა სია, სადაც უნდა აღენიშნათ ერთი ქალი და ერთი ვაჟი ტანვარჯიშე. შეჯიბრების ყველაზე მეტი ხმა აღმოაჩნდა ნ. ხალაძეს და ზ. გვეტაძეს, რომელთაც გადაეცათ სპეციალური პრიზები. ამავე საღამოზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ლ. ყანაველიძემ ჯილდოები გადასცა უნივერსიტეტის სტუდენტთა 1957 წლის სპორტკაიდაში გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს.




სურათზე: შეჯიბრებებში გამარჯვებული ნ. ხალაძე. ფოტო ა. ვართანოვისა



კვირას „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ წითელი არმიის მე-40 წლის თავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 37-ე წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო ველოგადარბენა მარშრუტით თბილისი-საგარეჯო. გადარბენაში მოწინააღმდეგეობა 33 სპორტსმენი. საგარეჯოში ლოკომოტიველებმა გამართეს სპორტული გამოსვლები. განსაკუთრებით წარმატება ხვდათ შტანგისტებს.

სურათზე: ველოგადარბენის მონაწილენი კახეთის გზატკეცილზე. ფოტო ა. ვართანოვისა

აქ ალიზარდნან თანრიგოსანი განმოვარჯიშაები



თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში აქტიურ მუშაობას ეწევა ფიზიკური კულტურის ძირითადი კოლექტივი. სკოლის ნორჩი სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ შეჯიბრებებში, იკავებენ პირველ ადგილებს.

ნაყოფიერად მუშაობს ტანვარჯიშის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი გ. პაპაშვილი. აქ აღიზარდა მრავალი მაღალი თანრიგის ტანვარჯიში. მაგალითად, გასულ წელს სკოლაში მომზადდა 3 პირველი თანრიგისა და 3 მეორე თანრიგის მქონე ტანვარჯიში.

სურათებზე: (მარცხნივ) მოწვეული ე. ბანქელაძე ასრულებს პირველი თანრიგის ვარჯიშს წონასწორობაში; (შუაში) ნ. რთველიძე ახადებს ოსტატთა ვარჯიშს; (მარჯვნივ) მეხუთე კლასის მოწვეული პირველთანრიგოსანი ვ. ადამაშვილი ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშის დროს. მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი გ. პაპაშვილი.

ფოტო ა. ვართაძისა

დასღო პაბი ახად როღში

... ზამთრის საღამოა. ნისლი თანდათან სულ უფრო სქლად ეფინება ბუღაბუღის ქუჩებს და სპორტის სასახლის ფანჯრებიდან სუსტად კრთის სინათლე.

სადარბაზო შესასვლელთან მკვეთრად დაამუხრუჭა შევად მზინავემ „მერსედის“ მარკა ავტომანქანამ. კარი სწრაფად გაიღო და ტროტუარზე მსუბუქად გადმოხტა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კრეგში ლასლო პაბი. მან ღინჯად მოპყვება მისი მწვრთნელი ჟიგმონდ ადლერი.


მოკრევეები მხიარული ყვირითა და სიცილით ხედებიან „ლაციკა“. ამ ხალისიანი მისაღმების შემდეგ იწყება სერიოზული წვრთნა. მოწინააღმდეგეები ზედზედ ცვლიან ერთმანეთს რინგზე — ლასლო პაბი დღეს განსაკუთრებულ ხასიათზეა, ვერაფერ ვერ უძლებს მას სპარინგში ერთ რაუნდზე მეტს.

მწვრთნელი იძლევა შესვენების ხიზანს. პაბა გარს შემოეხვივნენ კორესპონდენტები და მაშინვე იწყება „კითხვა-პასუხის“ საღამო. დასაწყისისათვის მოკრივეს ეკითხებიან მისი ახალი როლის შესახებ. პაბი იცინის...

— დაახ, მე ახლა კინოაქტიორი ვარ. ვასრულებ მთავარ როლს ახალ უნგრულ კინოკომედიაში „მძიმე ხელთათმანებში“. ერთი სიტყვით, მე იქ საკუთარ თავს არ ვთამაშობ. სურათი სულ მალე გამოვა ეკრანზე.

— როგორ მოგწონთ ახალი სამუშაო?

— მერწმუნეთ — არა, და მოხა-



პრესის მიმოხილვა

რული ვარ, რომ ვადალება დამთავრდა. მე დიდი ხანია შევეჩვიე მოკრივის როლს ნამდვილ რინგზე, წინ კი მეტად მძიმე საქმეები მელის. მას შემდეგ რაც პროფესიონალი გავხდი, დამარცხებული მყავს ოთხი ცნობილი მოკრივე დასავლეთ გერმანიაში. ახლა ვეშაბდები მეხუთეს წინააღმდეგ.

— საინტერესოა, თავისთავად რას წარმოადგენს პროფესიონალის ცხოვრება?

— თუ ვილაპარაკებთ საწვრთნელ მეცადინეობებზე, მზადდება, არსებითი განსხვავება მოყვარულთა და პროფესიონალს შორის არ არის. ვფიქრობ, რომ სამ ოლიმპიურ თამაშებზე — ლონდონში, ჰელსინკისა და მელბურნში მე მოვიხადე ვალი ჩემი გუნდისა და სამშობლოს წინაშე. ახლა კი მინდა უფრო ძნელ ამოცანას მოვკიდო ხელი და ვაჩვენო პროფესიონალებს, რომ ამაი ოლიმპიადის შემდეგ მე ჯერ კიდევ მაღლა მივიწევ და არა დაბლა. დამხმარე გასართობ საშუალებად მიემართავ ნადირობასა და თევზის ტყარას. საერთოდ, ჩემი ამოცანა გავუძლო 15 რაუნდს, ახლანდელი ექვსის შემდეგ.

გასაუბრება მწვრთნელის ძახილმა შეწყვიტა. ლასლო პაბი კვლავ იწყებდა ვარჯიშს.

შიძლება სასთუმლოთან ჩამოკიდო საბრძოლო იარაღი და ოთხივე ოქროს მედალი, მაგრამ რუდოლფ კარპატის სულაც არ უფიქრია ამაზე. მართალია, მან 1957 წელს რამდენიმეჯერ მიიღო ტრავმა, რაც ხელს უშლიდა წვრთნასა და შეჯიბრებებში გამოსვლას, მაგრამ შემოდგომამდე კარპატიმ პირად ჩათვალაში მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო პირველობაზე პარიზში და დიდად შეუწყო ხელი თავისი ქვეყნის გუნდის საერთო პირველი ადგილის აღებაში. კარპატი წარმატებით იბრძოდა აგრეთვე თავისი გუნდის შემადგენლობაში იტალიისა და საფრანგეთის უძლიერეს მოფარაკავთა წინააღმდეგ.

ამჟამად კარპატი თავის მეგობრებთან ერთად გაცხოველებით ემზადება მსოფლიო პირველობისათვის, რომელიც წელს გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რ. კარპატი ამჟამად 37 წლისაა. მას გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებში და იმისი იმედიც კი აქვს, რომ 1964 წლის თამაშებზეც გამოვა საბრძოლო ბილიკებზე. ყოველ შემთხვევაში, მან ამის შესახებ უკვე განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში.

მაგრამ ფარიაობა კარპატის ერთადერთი სიყვარული როდია. იგი გატაცებულია მუსიკითაც. კარპატი ბუღაბუღის ოფიცერთა სახლის მხატვრული ხელმძღვანელია და კითხულობს ლექციებს მუსიკალურ თემებზე.

ქრონიკა

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური სამკოთა სპორტანობა-ციო ბიურო აცხადებს ფიზკულტურის მუშაკთა, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტთა და სპეციალური ტექნიკუმების მასწავლებლების საყურადღებოდ, რომ 25 თებერვალს დილის 11 საათიდან 15 საათამდე სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა და სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლში (ჩაღარიშვილის შესახვევი № 8) შედგება ზემოთხანითი მუშაკების მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა. მეცადინეობაზე მოწვეული არიან აგრეთვე ფიზკულტურის ძირითადი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები.

4 ოქროს მედლის მფლობელთან

ეს 4 ოქროს მედალი უზარუნელ მოფარაკავე რუდოლფ კარპატის აქვს. მელბურნში კარპატიმ დაიკავა პირველი ადგილი პირად პირველობაში ესპანდრონიტ ბრძოლაში და, გარდა ამისა, შედიოდა უნგრეთის გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა გუნდურ ჩათვლაში. მანამდე კი ლონდონსა და ჰელსინკის კარპატიმ თითო ოქროს მედალი მიიღო როგორც გამარჯვებული გუნდის წევრმა. თითქოს ასეთი მიღწევების შემდეგ



სან-ფრანცისკო. 500 ამერიკელი ტანვარჯიში გადის წვრთნას სან-ფრანცისკოს მანობლად სპეციალურ ბანაკში. ამერიკელი ტანვარჯიშეები გულდასმით ემზადებიან მსოფლიოს პირველობისათვის, რომელიც უნდა ჩატარდეს წელს — მოსკოვში.

დედად სამი სპორტსმენი მძიმედ დაშავდა, ხოლო ერთი — გვარად პატრონი — გარდაიცვალა.

ნიუ-იორკი. ამერიკის პოეისტთა ნაერები გუნდი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიოს პირველობის გათამაშებაში, ამჟამად ევროპაში, იმყოფება.

ტოკიო. ახლო მომავალში იაპონელი მავიდის ჩოგბურთელი ნარიაკუ ფუი ამხანაგურ მატჩში უნდა შეხვედროდა ინგლისელ რიხარდ ბერგმანს. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად იაპონიის მავიდმა ჩოგბურთელთა ფედერაციამ მას სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა. ამ გადაწყვეტილების მანზე იაპონელის პროფესიონალიზმი ყოფილა.

ლონდონი. მელბურნის ოლიმპიურ თამაშების პრიზიორი 800 მეტრზე რინგში დერეკ ჯონსონი (იგი მეორე ადგილზე იყო) საკუთარი მოტოციკლით სეიზინობის დროს მოპყვა ავარიამი. ჯონსონს დაუზიანდა ფეხი.

ლისაბონი. ავტობოლა „პორტუგალიის გარშემო“ აღინიშნა რაძღვინიშე უბედური შემთხვევით. რბოლის შემდეგ

მელბურნი. დამთავრდა ჩოგბურთელთა აკრთაშორისო ტურნირი პროფესიონალთა მონაწილეობით. ფინალში ესტრალიელმა ლუის პოადმა დაამარცხა ფიზიკურად ძლიერი და ტექნიკური სელმანი (6:3, 5:7, 6:3).

ავტობოლა დღე-ღამის გარშემო

50 წლის წინათ, 1908 წლის 12 თებერვალს, ნიუ-იორკიდან ქალკოლბანის მიმართულებით გავლ იტალიური, გერმანული, ფრანგული და სამი ამერიკული მარკა ავტომანქანა. ამ დიდი და პრმიტიული მანქანებით გადაწყვეტილი იყო შორეული და მძიმე მოზურობა მარშრუტით: ნიუ-იორკი-პარიზი, ალიაკისა და ციმბირი გავლით. ასე დაიწყო პირველი ავტობოლა დედამიწის გარშემო რემელიც მოაწყეს გავრთებში „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ და „მატემა“.

ცუდმა გზებმა, ტალახმა, თოვლმა და სხვა დაბრკოლებებმა მინაწილეთა სამი მანქანა პირველად თვის გამოიყვანა მწყობრიდან, ხოლო ორგანიზატორები აიძულა შეეცვალათ მარშრუტი, ამოეგოთ ალიასკა და ჩუკოტკა. დარჩენილ სამმა მანქანამ — გერმანულ „პროტოსმა“, ამერიკულმა „ტომსონ-ფლაიერმა“ და იტალიურმა „სტრატონმა“ განაგრძეს გზა სიეტლსაკენ. აქ გერმანელებმა ეშმაკობას მართეს, მათ თავისი მანქანა „პროტონა“ პლატფორმაზე შეაყენეს ნიუ-იორკიდან სიეტლამდე მანქანის ერთი ნაწილი მატარებელ დაფარეს. ამის გამო ისინი დაჯარიმდნენ. სიეტლიდან გერმანულმა და იტალიელმა თავიანთი მანქანები ვლადივოსტოკში გემით გადაიყვანეს, ხოლო ამერიკელმა მანქანა სკადეს ალიასკაზე გადასულა, მაგრამ უშედეგოდ — უგზობის გამო ისინი იძულებული გადნენ ისევ სიეტლში დაბრუნებულაყენენ.

22 მაისს დაიწყო რბოლა რუსთის ტერიტორიაზე. ცუდმა გზებმა მონაწილეები აიძულა მთლი კიბირი რკინიგზის ხაზით გეარათ. 18 ივლისს „პროტონის“ მოსკოვში ჩაედა, სამი დღის შემდეგ მას „ტომსონი“ მიჰყვა, ხოლო „ზიუსტი“ ძალიან ჩამორჩა. იგი დროს ჯერ კიდევ ომსკში იყო.

მოსკოვიდან ამერიკული და გერმანული მანქანები პეტერბურგსა და ბერლინზე გავლით პარიზსაკენ გაემგზავრნენ, სადაც ისინი 1908 წლის 30 ივლისს ჩაედნენ „ტომსონ ფლაიერს“, რომელიც პირველად მივიდა პარიზში, მათ თავდა მძღოლმა ჯორჯ შუატერმა რაოდესაც გამარჯვებულები ნიორკში დაბრუნდნენ. მათ ქალბო, მათხალგობა დიდი ზეიმიდ შეიძინა, ხოლო პრემიადენტმა — თედორ რუხველტმა მათ საბატონო მლოდ თეთრ სახლში მიიღება მართა.

გ. ლომინაძე

ლონდონი. ინგლისისა და ავსტრალიის მთავარი შეხვედრა მოთავრდა მასპინძელთა გამარჯობაში — 16:4.

ვარშავა. დამთავრდა პოლონეთის მსოფლიო შეჯიბრება დაბურთეობაში. უძლიერეს სპორტსმენებსა და მსოფლიო პირველობის მფლობელს ალინიშნა ახალი მსოფლიო რეკორდებით. მათ შორის რადლებს ლონსია ივანსკია შენიგრძებტ ბტომაში — 7,27 მ. ისანმა ქალმა რუხინოვამ პირველი პირადად დააბრუნა რეკორდი — 14,24 მ-ზე.

ბერლინი (აშშ). ცნობილი აქტიური მათურავე ჯონ ჰენრი რომელიც ბერლინის უნივერსიტეტის სწავლობს, უარსაცხადებს უახლეს შემოგობებში მონაწილეობაზე.

ადელაიდა. ცნობილია ავსტრალიელმა მოტურავე ქალმა ფრეზერმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 220 იარღზე მსოფლიო თავისუფალი სტილით — 21 მწუთის რეკორდი ეკუთვნის თანამემამულელ ლ. კრეპსს და 2 წუთსა და 19,1 წამს.

რედაქტორი ი. უზუაშაძე